№7

სექტემბერი 2020წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სტუდენტების დაფინანსების მიზნით, საბუთების მიღება მიმდინარეობს

გვ:2

ქართულ-გერმანული ურთიერთობები გრძელდება

გვ:3

საინტერესო გზა, რომელმაც საპატიო მოქალაქეობამდე მიიყვანა

გვ:4

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სტუდენტების დაფინანსების მიზნით, საბუთების მიღება გრძელდება

დოკუმენტაცია უნდა წარადგინოთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში. ფულადი დახმარების პროგრამაში, კატეგორიების მიხედვით, სტუდენტი ჩაერთვება დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემდგომ.

მუნიციპალიტეტი სტუდენტურ დახმარებას გასცემს შემდეგ კატეგორიებზე:

1.ობოლი სტუდენტები და სტუდენტები მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში:

1. პირადობის მოწმობის ასლი;

2. ცნობა სასწავლებლიდან;

3. გარდაცვალების მოწმობა;

4. პირადი ანგარიში ბანკიდან;

5. დაბადების მოწმობის ასლი;

6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

2.სტუდენტები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან , რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;

2. დევნილის მოწმობა;

3. ცნობა სასწავლებლიდან;

4. პირადი ანგარიში ბანკიდან;

5. დაბადების მოწმობის ასლი.

3.სტუდენტები სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000 ქულამდე) ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში:

1. პირადობის მოწმობის ასლი;

2. სოციალურად დაუცველის მოწმობა (0 დან 100 000 ქულამდე);

3. ცნობა სასწავლებლიდან;

4.პირადი ანგარიში ბანკიდან;

5.დაბადების მოწმობის ასლი.

6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

4.სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი), რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში:

1. პირადობის მოწმობის ასლი;

2. დაბადების მოწმობის ასლები (ყველა დედმამიშვილის);

3. პირადი ანგარიში ბანკიდან;

4. ცნობა სასწავლებლიდან;

5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

5. სტუდენტები ოჯახებიდან, რომელშიც ორი ან მეტი სტუდენტია და სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში:

1. პირადობის მოწმობის ასლი;

2. დაბადების მოწმობის ასლი;

3. პირადი ანგარიში ბანკიდან;

4. ცნობა სასწავლებლიდან;

5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

6. წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში:

1. პირადობის მოწმობის ასლი;

2. ცნობა სასწავლებლიდან;

3. პირადი ანგარიში ბანკიდან;

4. დაბადების მოწმობის ასლი;

5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;

6.ამონაწერი ქულების შესახებ (81-დან 90-ის ჩათვლით 50 ლარი);

7.წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში:

1.პირადობის მოწმობის ასლი;

2.დაბადების მოწმობის ასლი;

3.პირადი ანგარიში ბანკიდან;

4.ცნობა სასწავლებლიდან;

5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;

6. ამონაწერი ქულების შესახებ (91-დან 100-ის ჩათვლით 100 ლარი).

8. შშმ. სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში:

1. პირადობის მოწმობის ასლი;

2. დაბადების მოწმობის ასლი;

3. პირადი ანგარიში ბანკიდან;

4. ცნობა სასწავლებლიდან;

5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;

6.შშმ სტატუსი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, სასწავლებლიდან ცნობა გაცემული უნდა იყოს სწავლის დაწყების შემდგომ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოდგენილი საბუთები არ განიხილება.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, სტუდენტური პროგრამისთვის 132 800 ლარი დაიხარჯა.

სოფელ ტანძიის საბავშვო ბაღში ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს

სოფელ ტანძიის საბავშვო ბაღში წლების განმავლობაში არსებული პრობლემა გვარდება. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, გასულ წელს ბაღში მთლიანად შეიცვალა სახურავი, მიმდინარე წელს კი მოწესრიგდება სველი წერტილები, გარემონტდება და სრულად აღიჭურვება სამზარეულო. თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, 25 აღსაზრდელზე მოეწყობა ერთი ჯგუფი, სადაც დამონტაჟდება გათბობის სისტემაც. მესამე ეტაპი, რომელიც მომავალ წელს განხორციელდება, ბაღის სრულად რეაბილიტაციასა და მთელ შენობაში ცენტრალური გათბობის დამონტაჟებას ითვალისწინებს.

პროექტი სრულად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, რომლის ღირებულებაც 84 000 ლარს შეადგენს.

სოფელ ტანძიაში, საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით შერაზადიშვილმა, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, კონსტანტინე კორძაძესთან ერთად მოინახულა.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს სკოლამდელ აღზრდას, ამიტომ კორონავირუსის პანდემიის მიუხედავად, წელს სოფელ ტანძიის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას აქტიურად ვახორციელებთ. ამ პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 84 000 ლარი გამოიყო. მოხარული ვარ, რომ ტანძიელებს საბავშვო ბაღის პრობლემა მალე მოუგვარდებათ. რაც მთავრია ჩვენი პატარები უკვე გარემონტებულ და მოწესრიგებულ გარემოში გააგრძელებენ სასწავლო პროცესს, რაც ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია“, -განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ საჯარო და კერძო სკოლებს საჩუქრად წიგნები გადასცა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში სკოლების ბიბლიოთეკებს ახალი წიგნები შეემატა. მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა ახალი სასწავლო წელი მიულოცა და ბოლნისში მოქმედ საჯარო და კერძო სკოლებს სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურა გადასცა. მერიის საჩუქარი მოსწავლეებს სასწავლო პროცესში ცოდნის გაღრმავებასა და განმტკიცებაში დაეხმარება. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის მერი ქალაქ ბოლნისის ნომერ მეხუთე, სოფელ ბოლნისისა და ტალავერის საჯარო სკოლებს ესტუმრა, საჩუქარი პირადად გადასცა და იქ არსებულ მდგომარეობას გაეცნო.

,,ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, მერიამ მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედ ყველა საჯარო და კერძო სკოლას საჩუქრად მხატვრული ლიტერატურა გადასცა. ვფიქრობ, ეს ჩვენი სკოლების ბიბლიოთეკების ფონდს უდავოდ გაამდიდრებს. იმედი მაქვს, რომ მოსწავლეები ამ შესანიშნავ ნაწარმოებებს აქტიურად გაეცნობიან. მინდა თითოეულ მოსწავლეს სკოლის დაწყება მივულოცო და წარმატებული სასწავლო წელი ვუსურვო. ბოლნისის მუნიციპალიტეტი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევს განათლებას და ვფიქრობთ, განათლებული და ერუდირებული ახალი თაობისთვის აუცილებელია ახალგაზრდებში მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაცია",- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ქართულ-გერმანული ურთიერთობები გრძელდება

ძველი გერმანული უბნები, სახლები, რომლებიც გერმანულ კვალზე მოგვითხრობს, ყოფილი ლუთერანული ეკლესია და კიდევ, არა ერთი გადმონაშთი გერმანული მხარის დიდ ინტერესს

იწვევს. ამჯერად, ბოლნისს ვიურტემბერგის მხარის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი, დოქტორი ფრანკ ოტფრიდ იული, ვიურტემბერგის მხარის საეკლესიო მრჩეველი კლაუს რიტი, საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი მარკუს შოხი და პასტორი ირინა სოლეი სტუმრობდნენ. დელეგაციას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით შერაზადიშვილმა უმასპინძლა.

სტუმრებმა ბოლნისის ახლად გახსნილი მუზეუმი დაათვალიერეს, მოინახულეს ყოფილი ლუთერანული ეკლესია და გერმანული მერიის შენობა, შემდეგ კი ისტორიულ ქუჩებშიც გაისეირნეს. მათთვის ამ ადგილების მონახულება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, სწორედ 200 წლის წინ, ვიურტემბერგის სამეფოდან ჩამოსულმა გერმანელებმა, საქართველოს ტერიტორიაზე, გერმანული დასახლებები დააარსეს, სწორედ მათ შორისაა კატარინენფელდიც.

ვიზიტის ბოლო ლოკაცია, ბოლნისის ლუთერული სამრევლო სახლი იყო, სადაც ეპისკოპოსმა მრევლისთვის ლოცვა ჩაატარა. სამრევლო სახლის საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა იგალობეს ძველი ლუთერანული საგალობლები. როგორც სტუმრები აცხადებენ, სურთ იმ ადგილების მონახულება, რომლებიც ვიურტემბერგიდან ჩამოსულ მათ თანამემამულეებს უკავშირდება. ისტორიის ეს მონაკვეთი გერმანიასა და საქართველოს შორის კეთილმეგობრული და ღრმა ურთიერთობების საუკეთესო მაგალითია.

კლაუს რიტი, ვიურტემბერგის მხარის საეკლესიო მრჩეველი:

-ძალიან მიხარია, რომ ბოლნისში ვარ, მომეწონა მუზეუმი, ჩვენ ვხედავთ ისტორიას, თუ რა გაუკეთებიათ ადამიანებს ასეული წლების წინ, ეს ყველაფერი ადამიანურია და ამით ვამაყობთ. ვიყავით ასევე ძველ ეკლესიაში, სადაც ახლა სპორტ დარბაზია, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში რესტავრირებული იქნება და როგორც ეკლესია, ისე გამოიყენება. სასიხარულოა, რომ თქვენმა მერმა ასე თბილად მიგვიღო და დაგვათვალიერებინა ეს ადგილები, რაც იმის ნიშანია, რომ ქართულ-გერმანული ურთიერთობები და მეგობრობა გრძელდება.

ფრანკ ოტფრიდ იული, ვიურტემბერგის მხარის ევანგელურ-ლუთერული ეკლესიის ეპისკოპოსი, დოქტორი:

-ამ ქალაქში რამდენიმე წლის წინ ვიყავი, თუმცა მოკლე ვიზიტით, დღეს მოვინახულე ახალი მუზეუმი, პირველი ადამიანები, არქეოლოგია, ერთი განსაკუთრებული ოთახი, რომელიც ეძღვნება შვაბების გადმოსახლებას, რაც ძალიან შთამბეჭდავი იყო. ვილაპარაკეთ ქალაქის მერთან მომავალ გეგმებზე, რაც ძველ ეკლესიას და სახლებს შეეხებოდა. ვიმყოფებოდი ლუთერულ სამრევლო სახლში, აქ ყოველთვის ვხვდებით თუ როგორი მორწმუნე ადამიანები იყვნენ. გისურვებთ ყველას, მთელ საქართველოს უფლის წყალობას და კურთხევას.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-მოხარულები ვართ, რომ ვიურტემბერგის მხარის ეპისკოპოსს ბოლნისში, ძველ გერმანულ ქალაქში ვუმასპინძლეთ, ქალაქში, რომელიც მე-19 საუკუნეში სწორედ ვიურტემბერგიდან ჩამოსულმა გერმანელებმა დააარსეს.

ქალაქი ბოლნისი ქართველი და გერმანელი ერის მეგობრობის სიმბოლოა და ჩვენ, თითოეულ სტუმარს გერმანიიდან, დიდი სიყვარულით ვმასპინძლობთ.

ეპისკოპოსს ისტორიული უბნები და ბოლნისის ახალი მუზეუმი დავათვალიერებინეთ და ჩვენი მუნიციპალიტეტის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გავაცანით. ეს ვიზიტი, ვფიქრობ, ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობებს, კიდევ უფრო გააღრმავებს.

ნონა ხუზმიაშვილი

ვისწავლოთ კოვიდთან თანაცხოვრება და დავიცვათ აუცილებელი რეკომენდაციები!

უკვე რამდენიმე თვეა მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დგას. კორონავირუსად წოდებულმა ახალმა ინფექციამ ყველა კონტინენტი მოიცვა და დღეის მდგომარეობით, მილიონობით დაინფიცირებულ და დაღუპულ ადამიანს ითვლის. საქართველოში კორონავირუსის ინფექციის პირველი შემთხვევა თებერვალში დაფიქსირდა, მალევე გაჩნდა წითელი ზონები. შემთხვევების სიმრავლით მოწინავე ქვემო ქართლი აღმოჩნდა, ბოლნისის მუნიციპალიტეტიც, გარკვეული დროის მანძილზე, წითელ ზონად იყო მიჩნეული. რა მდგომარეობაა და როგორი ეპიდვითარებაა ამჯერად ჩვენს მუნიციპალიტეტში, ამის შესახებ აა.იპ„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მედიცინის ცენტრის“ დირექტორს, მაკა მამარდაშვილს ვესაუბრეთ.

-საქართველოში ყოველდღიურად მატულობს ინფიცირებული პაციენტების რაოდენობა, როგორია ეპიდ ვითარება ბოლნისში?

-ეპიდსიტუაცია ბოლნისის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე მართვადია. ერთი შემთხვევა დაფიქსირდა სექტემბრის შუა რიცხვებში, გამოუვლინდა იზოლაციაში მყოფ პირს, ე.წ გორის ქორწილის კლასტერს, მას მრავლობითი კონტაქტები არ ჰქონდა, პაციენტს უტარდება შესაბამისი მკურნალობა. ახალი შემთხვევები არ გვაქვს, აქტიურად ვიკვლევთ მიზნობრივ ჯგუფებს. მაღალი რისკის ჯგუფები არიან: მედპერსონალი, ეპიდემიოლოგები, შსს დაქვემდებარებული უწყებები, 112 დაქვემდებარებული უწყებები და ა.შ. აგრეთვე აქტიურად მიმდინარეობს ტესტირება სავარაუდო და შესაძლო კოვიდ ინფექციებზე. თუკი პაციენტს აქვს ტემპერატურა და აღენიშნება რომელიმე რესპირატორული სიმპტომი, შესაძლოა იყოს კოვიდ ინფექცია. ასეთი შემთხვევების დროს ტარდება პისიარ ტესტირება, ვიღებთ ნიმუშებს.

- ბოლნისი მწვანე ზონაა, სასწავლო პროცესი დაიწყო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიც მალე განაახლებენ მუშაობას, რა პრევენციული ზომები ტარდება ამ კუთხით?

-ბოლნისის მუნიციპალიტეტში სასწავლო პროცესი 15 სექტემბრიდან ყველა რეკომენდაციის დაცვით დაიწყო, რომელსაც შრომის ინსპექცია აკონტროლებს. სკოლებში მიმდინარეობს თერმოსკრინინგი, დიდი ყურადღება ექცევა ხელის ჰიგიენას, დისტანციას, მასწავლებელს უნდა ეკეთოს პირბადე. ეს არის ის ძირითადი წესები და ამოსავალი წერტილი, რითაც უნდა მოხდეს კოვიდ ინფექციის პრევენცია.

-ბოლნისის მუნიციპალიტეტში აქტიურ რეჟიმში მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რა ზომებს მიმართავთ ინფექციის პრევენციისთვის?

-საზოგადოებრივ ტრანსპორტში სპეციალური წესები არსებობს, აქაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ნიღაბი და რამდენადაც შესაძლებელია, დავიცვათ დისტანცია. რაც შეეხება ნიღაბს, 90% არასწორად იყენებს. ნიღაბი უნდა ფარავდეს ცხვირს, პირს და ნიკაპს. არ უნდა შევეხოთ ხელით.

-მივეჩვიოთ კოვიდთან თანაცხოვრებას, რას გულისხმობს ეს ტერმინი და კიდევ ერთხელ შევახსენოთ მოსახლეობას ის აუცილებელი რეკომენდაციები, რაც დაგვიცავს ვირუსისგან.

-მივმართავ მოსახლეობას, ვირუსთან საბრძოლველად აქამდე იყო ჩაკეტვები, იზოლაციები, რომელიც ყველაზე მტკივნეულად ჩვენ მუნიციპალიტეტზე აისახა, მაგრამ ახლა გადავედით პანდემიის სხვა ეტაპზე, როდესაც უნდა ვისწავლოთ კოვიდ ინფექციასთან ერთად ცხოვრება, რაც ნიშნავს რომ თითოეულმა მოქალაქემ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაციები. დახურულ სივრცეში აუცილებლად უნდა გამოიყენოთ პირბადე, არ აქვს მნიშვნელობა საჯაროა დაწესებულება თუ კერძო. ამასთანავე, დავიცვათ დისტანცია მინიმუმ 1 მეტრი, ხელების ჰიგიენა. რაც შეეხება ღია სივრცეებს, არის მოსაზრება, რომ არ არის საჭირო ღია ტერიტორიაზე ნიღბის ტარება, მაგრამ აუცილებელია დისტანცია, თუ გიფიქსირდებათ ტემპერატურა 37^{0} და მეტი, ამ შემთხვევაში აუცილებლად ვრჩებით სახლში, ვუკავშირდებით ოჯახის ექიმს და ველოდებით მისგან რეკომენდაციებს. თუ გვაქვს რესპირატორული სიმპტომები, როგორიცაა მშრალი ხველა, ყელის ტკივილი, სუნთქვის უკმარისობა, დიარეა, ყნოსვის დაქვეითება, თავის და სახსრების ტკივილი, ამ სიმპტომებიდან თუნდაც ერთ-ერთი ტემპერატურასთან ერთად, ექვი უნდა მივიტანოთ კოვიდ ინფექციაზე, გავაგებინოთ ოჯახის ექიმს და დავურეკოთ 112.

-დიდი მადლობა, ჯანმრთელობას გისურვებთ!

პ.ს. დავიცვათ რეკომენდაციები, რომელსაც ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციები აწესებენ, გავიკეთოთ ნიღაბი, ხშირად ვიბანოთ ხელები და სიმპტომების გაჩენისა და მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში, მივმართოთ ექიმს.

ნონა ხუზმიაშვილი

საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბოლნისში ახალი განრიგით იმოძრავებს

კორონავირუსის პანდემიის გამო, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ, მოქალაქეების კომფორტული გადაადგილების მიზნით,

მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგის ცვლილების გადაწყვეტილება მიიღო.

28 სექტემბრიდან, რატევანი-რაჭისუბნის მიმართულებით მოძრავი ავტობუსები ნაცვლად 08:00 საათისა მუშაობას 07:45 საათზე დაიწყებენ და 20:30 საათზე დაასრულებენ.

შეგახსენებთ, რომ სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის მგზავრობა კვლავ უფასო რჩება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია მოგიწოდებთ, მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისას დაიცვათ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი უსაფრთხოების წესები.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთობამ“ პროექტის ფარგლებში, დასკვნითი ღონისძიება გამართა

„ბოლნისის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრებ ქალთა გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთობამ“ დასკვნითი ღონისძიება გამართა. სოფელ რატევანში მცხოვრები ქალებისთვის სოფელ მისაქციელში, ,,სოფლად თემთა განვითარების სააგენტოში,'' მოეწყო ექსკურსია, სადაც მათ საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებს. პროექტი, რომელიც რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა, მიზნად ისახავდა სოფელ რატევანში მცხოვრებ ქალთა ცოდნის ამაღლებას ისეთ საკითხებში, როგორიცაა სურსათის უვნებლობა, ენერგოეფექტურობა და ნარჩენების მართვა, სამიზნე ჯგუფისთვის ჩატარდა ტრენინგები, ხოლო სოფელ დისველში მცხოვრებ სამ სოციალურად დაუცველ ოჯახს გადაეცა ენერგოეფექტური ღუმელები. პროექტი „ქალთა ფონდი საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ნონა მარტიაშვილი, პროექტის მონაწილე:

-არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთობამ“ მოაწყო გასვლითი ექსკურსია მისაქციელში, სოფლად თემთა განვითარების ცენტრში, სადაც მოვინახულეთ ენერგოეფექტური მოწყობილობები, ძალიან საინტერესო და მარტივად ნაკეთი დანადგარები. სოფლებში ასეთი მოწყობილობების დანერგვა ნამდვილად ხელს შეუწყობს ქალების გაძლიერებას. მნიშვნელოვანია მსგავსი პროექტების განხორციელება, რადგან ბევრ საინტერესო თემას ვეხებით.

საინტერესო გზა, რომელმაც საპატიო მოქალაქეობამდე მიიყვანა

სრულიად არაფრისგან, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულება შექმნა, რომელმაც განათლების სფეროში სრულიად ახალი სიტყვა თქვა და ბოლნისში ცნობილი გახდა, როგორც გიმნაზია, 40 ბავშვით დაწყებული სწავლა-აღზრდის პროცესი ხუთასამდე გაიზარდა და ხელმძღვანელობის 18 წელიც მიითვალა, ეს ლეილა ალადაშვილია, მას ბოლნისელები კარგად იცნობენ და საპატიო მოქალაქის აღმატებული სტატუსიც მიანიჭეს, როგორც ქალბატონი ლეილა ფიქრობს ,,როდესაც ასეთი პატივის ღირსი ხდები, ძალაუნებურად ფიქრობ, რაღაც შეგიქმნია და საზოგადოებას ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია“.

25 წლის წინ, კომუნისტურ რეჟიმში აღზრდილმა, გადაწყვიტა სხვა მიდგომებით, გეგმებითა და შეხედულებებით მეტად თავისუფალი, მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლა დაეარსებინა, დიდი წვალების, თავდაუზოგავი შრომის შემდეგ, განათლების სფეროში, ახალი ფურცელი შეიქმნა, მან ძველი შენობით, ინვენტარით და ახალი მიდგომებით „ქართული გიმნაზია“ დააარსა, რომელსაც 18 წელი უხელმძღვანელა. ,,ვფიქრობ, საპატიო მოქალაქის წოდება რომ მოგანიჭონ, პირველ რიგში უნდა გიყვარდეს შენი თანამოქალაქეები და რაღაც მაინც უნდა გქონდეს გაკეთებული, ჩემს შემთხვევაში ჩათვალეს, რომ ჩემი დაარსებული სკოლა, სადაც არაერთი თაობა აღიზარდა და დღესაც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს, გამოადგა ქალაქს. 40 ბავშვით დავიწყეთ და დღეს 500-მდე მოსწავლეა. ეს სკოლა განსაკუთრებულია ჩემთვის, შვილივით მიყვარს, მე შევქმენი სრულიად არაფრისგან, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ.''

-რატომ გადაწყვიტეთ სკოლის შექმნა მაშინ, როცა ქალაქში ისედაც არაერთი სკოლაა?

- კომუნისტურ რეჟიმში აღვიზარდე, სადაც ცენტრში, პირდაპირი მნიშვნელობითაც კი, მასწავლებელი იდგა, საკლასო ოთახში მას ჰქონდა გამოყოფილი შემაღლებული ადგილი, ეს იმის მანიშნებელი იყო, რომ ის უფროსია, რომელმაც უნდა წაიყვანოს გაკვეთილი. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი პედაგოგები გვყავდა, დიდი მოკრძალება და პატივისცემაც გვქონდა, წლების შემდეგ, მაინც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის მომხრე ვიყავი, სადაც ბავშვი მეტად თავისუფალია და სრულად ახდენს საკუთარი თავის რეალიზებას. მაშინ, როცა ბოლნისში სკოლის დაარსება გადავწყვიტე, საკმაოდ წარმატებული ვიყავი, ვმუშაობდი სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში, პროფესორმა ზურაბ ვახანიამ დააარსა მსგავსი მოდელის სკოლა, ჩემი თანამშრომლის დახმარებით მოვინახულე, გავეცანი და დავისახე მიზნად, ბოლნისელებსაც ჰქონოდათ სკოლა, რომელიც ახალ სიტყვას იტყოდა.

მაშინ ამ გადაწყვეტილებას არადამაჯერებლად უყურებდნენ, უკვირდათ, როგორ შემეძლო ასეთ მიღწევებსა და წარმატებებზე უარი მეთქვა, სამსახურიდანაც იმ პირობით გამომიშვეს, რომ მიზნის მიღწევის შემდეგ, სკოლას სანდო პიროვნებას ჩავაბარებდი და სამსახურში დაბრუნდებოდი.

-როგორ შეხვდა ბოლნისი თქვენს გადაწყვეტილებას?

-მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სკოლის დაარსება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ბევრი ვიბრძოლე, შემოვიკრიბე ახალგაზრდა პედაგოგები, რომლებიც გადამზადდნენ, მალევე მოვიპოვეთ ბოლნისელების დიდი ნდობა, პირველ ეტაპზე პირველი კლასის დაარსებას ვფიქრობდი, თუმცა მოთხოვნიდან გამომდინარე, მესამეს ჩათვლით გავხსენით კლასი.

-განსაკუთრებით რა თვისება უნდა ჰქონდეს პედაგოგს?

-პედაგოგად უნდა დაიბადო, ბავშვის მოყვარული უნდა იყო და აუცილებლად მიიღებ უკუკავშირს, მოსწავლემ უნდა იგრძნოს თანადგომა და მზრუნველობა. ამბობენ რომ მკაცრი დირექტორი ვიყავი. თუმცა ვთვლი, რომ სამართლიანი და ბავშვების დამცველი. სკოლა უნდა შეაყვარო, შეასწავლო ის, რაც არ იცის, მე ასე ვიცხოვრე. ყველა საქმე უკეთ გამოვა თუ სიყვარულით მიუდგები. მიუხედავად ასაკისა, დღემდე ორიენტირებული ვარ ახალგაზრდებზე, ქუჩაშიც კი, როცა არასასურველად იქცევა მოზარდი, ჩუმად, სიყვარულით ვუხსნი, ვუთითებ და საკმაოდ კარგად ღებულობენ ასეთ შენიშვნას.

-განსხვავებულია თაობა?

-რა თქმა უნდა, ჩვენი თაობა მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში წარჩინებით ვსწავლობდით, ცოდნაც გვქონდა, თუმცა არ გვქონდა ის უნარ-ჩვევები, ლოგიკური მსჯელობა, რაც დღევანდელ ახალგაზრდებს აქვთ, ახლა სკოლაც დამოუკიდებელია, მას შეუძლია კანონის ფარგლებში თავად დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა აქტივობა. დღეს ყველა პედაგოგი ორიენტირებულია, მოსწავლეებს რაღაც უნარი განუვითაროს. თუმცა მინდა ახალგაზრდებს ვურჩიო, მეტი იშრომონ, მეტად შეიყვარონ წიგნი და ქართველი მწერლები. ქართველი კაცი წიგნიერი უნდა იყოს და მიზანსაც, აუცილებლად, მიაღწევს.

მიუხედავად იმისა, რომ პენსიონერია და სკოლა ორი წლის წინ დატოვა, მის გარეშე არ შეუძლია, ამიტომ ბიბლიოთეკარად დაიწყო მუშაობა. „როგორც დედას შვილის გარეშე არ შეუძლია, ასე ვარ მეც, სკოლის გარეშე ვერ წარმომიდგენია. ძალიან დაფასებულად გაგვაცილა მთავრობამ პენსიონერი პედაგოგები. თუმცა ვერ შევძელი სკოლის გარეშე, ვინაიდან პედაგოგად მუშაობის უფლება აქ მქონდა, ახლა ბიბლიოთეკარი ვარ, ძალიან მინდა ბოლნისში პროფესიული სასწავლებლის გახსნა, მაგრამ ასაკიც აღარ მიწყობს ხელს, თუ ვინმე ჩაუდგება სათავეში, დავეხმარები და ჩემს გამოცდილებას გავუზიარებ.

მინდა თითოეულ ბოლნისელს, ამ დიდი ნდობისთვის, სიყვარულისთვის, მადლობა გადავუხადო, მე რითაც შემეძლება, ყოველთვის ჩემი თანამოქალაქეების გვერდში ვიქნები.

მაგდა დევნოზაშვილი

რამდენი ხერხი არსებობს ადამიანის გამოშტერების?

„მარტივ კითხვებს“ - ფიქრია მიქელაძე პასუხობს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურის ფინანსურმა მენეჯერმა ფიქრია მიქელაძემ საკმაოდ ადვილად და სახალისოდ გაართვა თავი „მარტივ კითხვებს“.

-დავიწყოთ. რა ჰქვია ნაწილს, მუხლიდან ფეხის გულამდე?

-წვივი, არადა, მეგონა რამე ძნელი იქნებოდა და დავფიქრდი.

-ნამდვილად წვივია.

-მზის სისტემაში რომელი პლანეტაა ყველაზე დიდი?

- სახელი?

-იცი, იფიქრე.

-კი, ვიცი იუპიტერია, ჰო?

-კი, იუპიტერია.

-რისგან ამზადებენ შუშას?

-კი მინახავს შუშის გადადნობის პროცესი, მაგრამ რისგან მზადდება არ მახსოვს.

-ქვიშისგან, არც მე ვიცოდი, ისე.

-ვაა, საინტერესოა.

-ვინ დაწერა „მთვარის სონეტი“?

-ბეთჰოვენმა.

-ნამდვილად. სამი ექიმი ამბობს, რომ რობერტი მათი ძმაა, რობერტი კი აცხადებს, რომ მას არ ჰყავს ძმები, ვინ ტყუის?

-მგონი არცერთი, რადგან რობერტს ჰყავს სამი და, და ისინი ექიმები არიან.

-ნამდვილად ასეა. წყალსაცავში 10 თევზია, 2 ჩაიძირა, 4-მა გაცურა, 3 მოკვდა, რამდენი თევზი დარჩა?

-10 - რადგან არცერთს არ დაუტოვებია წყალსაცავი.

-კი 10, რადგან არცერთი არსად წასულა.

-ორი მამაკაცი თამაშობს ქადრაკს, ითამაშეს 5 პარტია, თითოეულმა მათგანმა მოიგო სამი. როგორ?

-ერთმანეთს არ ეთამაშებოდნენ, აშკარად.

-მიუმატე 1000-ს 40, შემდეგ კიდევ 1000. ახლა 30 და კვლავ 1000. შემდეგ კიდევ 20 და კიდევ 1000 ბოლოს 10. რამდენი მიიღე.

-ოთხიათას ასი.

-ყოჩაღ, რატომღაც სულ 5000 იღებენ ხოლმე,

-რა გადის ქალაქებსა და ველებს შორის, მაგრამ არ მოძრაობს.

-გზა.

-ხუთი დისგან თითოეული დაკავებულია რაღაც საქმით. პირველი კითხულობს, მეორე ამზადებს საქმელს, მესამე თამაშობს ქადრაკს, მეოთხე რეცხავს. რას აკეთებს მეხუთე და?

-ეგეც ქადრაკს თამაშობს.

-ყოჩაღ კარგი გოგო ხარ. რაიმე სახალისო მოგვიყევი და შემდეგი სტუმარი დაასახელე.

-მომდევნო სტუმარი მინდა იყოს ჩემი თანამშრომელი რუსუდან ჩუმაშვილი, რაც შეეხება ამბავს, რეალურია მგონი ეს ამბავი, ინტერნეტში წავიკითხე. მოკლედ ლექტორი უყვება სტუდენტებს, ახლა გასწავლით, თუ როგორ უნდა გამოაშტეროთ ადამიანი. არსებობს სამი ხერხი, პირველი, ჯერ უნდა გააოცო, მეორე, გააბრაზო და მესამე, გააცოფო. აიღებს ტელეფონს და რეკავს უცხო ნომერზე. გამარჯობა გელა მინდოდა? -სხვაგან მოხვდით, იყო გაოცებული პასუხი. აი ეს იყო გაოცება. ცოტა ხანში კიდევ რეკავს იგივე ნომერზე - უკვე გაბრაზებული პასუხობენ, ხომ გითხარით, არ ცხოვრობს აქ გელა - ეს გაბრაზება იყო. ცოტა ხანში ისევ რეკავს იგივე ნომერზე და გამწარებული კივის აღარ დარეკოთო - აი ეს უკვე გამწარება იყო. სტუდენტი აჩერებს ლექტორს და ეუბნება, პატივცემულო მე მეოთხე გზაც ვიცი ადამიანის გამოშტერებისო. ეს როგორ? იგივე ნომერზე თავისი ტელეფონით რეკავს და კითხულობს. გამარჯობათ, მე გელა ვარ და ხომ არავის ვუკითხივარო, კი, კი სამჯერ გიკითხესო. აი ესაა ადამიანის გამოშტერებაო.

-ძალიან კარგი იყო. დიდი მადლობა.

დარეჯან ოქრუაშვილი

მე ბილიკების მაკრთობს სითეთრე...

მარინა გავაშელი

გაზეთი „ბოლნისი“აგრძელებს შემოქმედებითი ადამიანების მოძიებას, რომელთა ნიჭისა და უნარების შესახებ, საზოგადოების მხოლოდ მცირედმა ნაწილმა იცის. სტუმარი, რომელსაც წარმოგიდგენთ, ბავშვობიდან წერს ლექსებს, წერა და პოეზია მისი სულიერი საზრდოა და ცხოვრება მის გარეშე ვერ წარმოუდგენია. ამჯერად, ჩვენი გაზეთი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს, გია რეხვიაშვილს განსხვავებულ ამპლუაში წარმოგიდგენთ.

გია რეხვიაშვილი 1000-მდე ლექსის ავტორია, წერს ხასიათის მიხედვით, განცდა, ტკივილი და სიხარული, ფურცელზე ერთი ამოსუნთქვით გადმოაქვს, დაგროვილ გრძნობებს კალმით ეპაექრება, ლექსად სათქმელი სტრიქონები გულის სიღრმიდან მოედინება და მწერლის სულიერ სამყაროს ნათლად გადმოსცემს.

მისი შემოქმედება მრავალფეროვნებით გამოირჩევა, საოცარი მუხტით და ენერგიით იზიდავს მკითხველს. წერს რასაც გრძნობს, ინსპირაციის წყარო ყოველდღიური გარემო, სულიერი განწყობა, სევდა და სიხარულია. ამბობს, რომ სტრიქონის სტრუქტურაზე წინასწარ არ ფიქრობს, გულიდან ამოსულ გრძნობებს ექსპრომტად წერს და ლექსის შინაარსს თავიდან ბოლომდე მკითხველს მიანდობს. პირველი ლექსი მე-8-ე კლასში დაწერა, რომელსაც დღემდე, ქართული ენა-ლიტერატურის პედაგოგი, ელზა გვერდწითელი სათუთად ინახავს.

ელზა გვერდწითელი, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი:

„ჩვენს ეპოქას სჭირდება ღრმად განათლებული, მორალურად სპეტაკი, მაღალკულტურული და შრომისმოყვარე ადამიანები. განსაკუთრებით ეს მოეთხოვება ახალგაზრდობას, ისინი მომავალი ცხოვრების ბატონ-პატრონნი უნდა იყვნენ.

ყველა კაი ყმას უნდა ახსოვდეს, რომ ახალგაზრდობა სიბრძნის დაგროვების ჟამია. მან უნდა განაგრძოს სახელოვანი წინაპრის გზა, იზრუნოს სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. ცოდნა გახდის მას სულიერად ძლიერს, პატიოსანს, ადამიანების მოსიყვარულეს და პატივისმცემელს.

კაი ყმას მუდამ უნდა ახსოვდეს და გულის ფიცარზე დაიწეროს ნოდარ დუმბაძის მარადისობის კანონის დიდებული სიტყვები. მაშინ იქნება ახალგაზრდობა ხვალის იმედი და ერის სიმდიდრე.

ასეთ კაი ყმად მოიხსენიება რაჭისუბნელი გიორგი რეხვიაშვილი. მან სკოლის ასაკიდანვე გააცნობიერა, რომ ადამიანობა ფასდება მისი სულიერებით. ამიტომ შეიყვარა ჩვენი დიდებული პოეზია და ეზიარა მის მადლს.”

თავის პირველ ლექსში - „ბოლნისის სიონს“ წარმოაჩინა ჩვენი ქვეყნის კულტურული წარსული და სამშობლოს სიყვარული.

მიუხედავად ურჯულოთა თარეშისა, ლექსში ვკითხულობთ: „მაინც არ გატყდი, არ დაეცი, იდექი მყარად“.

უამრავი ლექსის ავტორს არ უფიქრია, რომ მისი შემოქმედება საზოგადოებისთვის გაეცნო, ჰყავს თავისი პუბლიკა, ვისაც უთქმელ გრძნობებს და გულის სიღრმიდან წამოსულ სათქმელს, ლექსად უზიარებს.

-ბატონო გია, ვინ არის თქვენი პირველი ლექსის შემფასებელი?

-პირველი ლექსი „ბოლნისის სიონს“ მე-8-ე კლასში დავწერე, რა თქმა უნდა მამას წავაკითხე, შემდეგ ჩემს პედაგოგს, მასთან დღემდე ინახება ჩემი ლექსები. სიმართლე გითხრათ, არც მიცდია ნაწერების გამომზეურება, მყავს მცირედი მკითხველი და შემფასებელი. ვთვლი, რომ ლექსები, რომლებსაც ვწერ, ჩემი სულის ნაწილია და მინდა ჩემში დარჩნენ.

- რა, ან ვინაა თქვენი შთაგონების წყარო?

-წინასწარ არ ვფიქრობ, სათქმელი გულიდან მოედინება, მუზა მკარნახობს, თუმცა ძირითადად ჩემ ლექსებში, ჩემი შინაგანი სამყარო, ჩემი გრძნობები და განცდებია, მტკივა თუ მიხარია, ყველაფერს ფურცელზე გადმოვცემ.

-ბატონო გია, გამორჩეული ლექსი თუ გაქვთ?

-სამწუხაროდ, ძალიან ბევრი კარგი ლექსი დავკარგე, რაც მაქვს ყველა ჩემია, ჩემი სულის ნაწილია და ვერც ერთს გამოვარჩევ.

-საყვარელი მწერალი, ნაწარმოები?

-კონსტანტინე გამსახურდია, დავით აღმაშენებელი.

-ქართველი პოეტი

-ვაჟა ფშაველა, რომლის შემოქმედება, სისადავით, უბრალოებით და ფილოსოფიური თვალსაზრისით, გამოირჩევა.

-რა არის, რაც ყველაზე მეტად გტკივათ?

-მტკივნეული თემა საზოგადოების განათლების დონეა. სამწუხაროდ ადამიანები დაშორდნენ წიგნს - წიგნიერებას. ჩემი დიდი სურვილია იგრძნონ, ისწავლონ, იკითხონ და განვითარდნენ უკეთესი მომავლისთვის.

-ის, რასაც ყველაზე მეტად ისურვებდით?

-როგორც ყველა ქართველი, ყველა პატრიოტი, ვისურვებდი „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ გაერთიანებულ საქართველოს, ვისურვებდი ასევე, ჩემი ლექსების კრებულად გამოცემას, სამწუხაროდ, ფინანსები არ მაქვს და ველოდები კეთილი ადამიანის გამოჩენას, ვინც ჩემს ლექსებს დაასპონსორებს და კრებულში მოუყრის თავს.

ასე ხედავს ბატონი გია საკუთარ თავს პოეზიაში, არ ელოდება ვინმეს, არც რამეს, მუზა თავისთავად მოდის და წერს, ყველა სტრიქონი მისთვის განურჩევლად საყვარელი და სასურველია, მისი სულის ნაწილია. მისი შემოქმედება გლოლას, ჭიორას, ქვევრში ხვანჭკარას და უფოთლო ხეებს ეალერსება. მშობლიური რაჭის ტკივილი და სიხარული სტკივა და უხარია. წერს, რომ აკრთობს ბილიკების სითეთრე, რომ ვახშმობს ჭექა-ქუხილთან, რომ სანახშო გალღვა და გათბა... ეს სენტიმენტალური სტრიქონები ბატონი გიას შემოქმედების ლაიტმოტივია, საუკუნეთა თარეშში არ უნდა წუხილთან მარტოდ დარჩენა და ცხოვრების მეგობარს, საყვარელ მეუღლესაც უძღვნის ლამაზ სტრიქონებს, თუმცა სამზეოზე გამოტანას თითქოს არ ფიქრობდა, მაგრამ, რატომაც არა..

...

თუ ასე ტურფა იყავი,
რად ვერ გამჩნევდი ქეთინო,
მარადჟამს უნდა მაცრემლო,
მარადჟამს უნდა მეტკინო.
საუკუნეთა თარეში,
ერთ წამში ჩავატიეო,
თუ სიყვარული დაგაკელ,
დამტუქსე, მაპატიეო.
შენით ვარ ედემის ბაღში,
სუფთა, რაკრაკა წყაროო,
ამოგიშანთავ სადარდელს,
ვეცდები დავაწყაროო.
გასწი, გაქუსლე მერანო,
არ მომანატრო თარეში,
სულ გრიგალებში მამყოფე,
აღტაცებათა ფარეხში,
გავხედნე ურჩი საწუთრო,
დავადგი უნაგირიო,
კვლავ საუკუნედ მეძახდე,
შენა ხარ ჩემი გმირიო...

...

დაღვინდა ხვანჭკარა ქვევრებში
ღვინუკა აღარ გავს მაჭარს,
უფოთლო ხეები ტყეებში,
ზამთარი ეწვია რაჭას.
თვლემენ ზარმაცად სოფლები
გლოლა, ჭიორა, ღები,
სანამ მოისხავს ფოთლები,
ჩაირაზება გზები.
ბუხართან კვამლი და ღადარი
ლორუკა მწიფება სხვენში,
ასეთი სიმსუყე აქ არი,
ასეთი ზმანება ჩვენში.
რეზინის ჩექმებით ნატკეპნი
სანახშო გალღვა და გათბა,
ოხუჯი სიტყვით და საწკეპლით
შაირებს არა აქვს დათვლა,
ამ სიზარმაცეში ვიშობე
ღმერთო მაცალე ბევრი,
ნუ შევთხოვთ ნამეტანს ღვთისმშობელს,
მრავალძალს ამღერდა ქვევრი.

...

მე ბილიკების მაკრთობს სითეთრე
როგორც ქაღარა იშვიათობას,
ამქვეყანაზე თუკი ვიერთე,
რაღა აზრი აქვს მზიდგან დათრობას.
უკვე ვივახშმე ჭექა-ქუხილთან,
თავზე დამემსხვრა ჭოტის კივილი,
ო, ნუ დამტოვებ მარტო წუხილთან,
იქნებ იშვილო ჩემი ტკივილი!

...

სევდაა უზარმაზარი,
გაუსაძლისის ყოლისად
აღფრთოვანება მწყაზარი
დაკნინდა პირველ ყოვლისად.
დაკარგვა ხასიათების
ადამიანთა სენიო,
მზის სხივის გამონათების
ბევრმა არც იცის წვენიო.
ყორანს რად უნდა სამასი
წლები ნათრევი ფუჭადა,
არ გვესმის სიტყვა მამასი,
ტვინი ვაქციეთ კუჭადა.
აღმართი ფიქრთა გორების
უფრო და უფრო დიდია,
მაწუხებს ფრენა ქორების ,
კისერზე ლოდი მკიდია.
სევდაა უზარმაზარი,
ნაკვერჩხალს ქარი ჭირდება,
სიფხიზლეს უნდა სხვა ზარი,
ჩავთვლიმო----- გამიჭირდება...

გრიპის სეზონი და მიმდინარეობა საქართველოში

გრიპი მწვავე ვირუსული დაავადებაა, რომელიც ადვილად გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს, იგი ცირკულირებს მთელს მსოფლიოში და იწვევს ეპიდემიებს. მას აქვს უნარი დააინფიციროს ადამიანები ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში. სეზონურ ეპიდემიებთან ერთად, გრიპის ახალი ქვეტიპის აღმოცენებისთანავე შესაძლებელია გრიპის პანდემიის დაწყება.

გრიპი ადვილად მოგზაურობს. ჩვეულებრივ, ჰაერის საშუალებით ვრცელდება დახველების ან დაცემინებისას, ასევე დაბინძურებული ხელებით. ადამიანებმა შესაძლებელია გაავრცელონ გრიპის ვირუსი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაიგებენ რომ ავად არიან, რომელიმე სიმპტომის გამოვლენამდე ერთი დღით ადრე და შემდგომი 5-7 დღის განმავლობაში.

როგორც წესი, გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე მთავრდება გამოჯანმრთელებით. თუმცა, გრიპი ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია გართულდეს, უფრო იშვიათად კი - გამოიწვიოს ლეტალური გამოსავალიც კი.

გრიპი იწყება უეცრად, მაღალი ტემპერატურის ფონზე გამოხატული ინტოქსიკაციითა და ზემო სასუნთქი გზების დაზიანებით.

გრიპის ძირითადი სიმპტომებია:

- მაღალი ტემპერატურა (380 C მეტი);
- თავის, კუნთებისა და სახსრების ტკივილი;
- საერთო სისუსტე;
- ხველა;
- ყელის ტკივილი;
- შემცივნება;

იშვიათად დიარეა და პირღებინება.

გრიპის შემთხვევათა ძირითადი რაოდენობა სრულად გამოჯანმრთელდება ერთი კვირის თავზე. იშვიათ შემთხვევაში შესაძლოა გრიპი გართულდეს და კიდევ უფრო იშვიათად გამოიწვიოს ლეტალური გამოსავალიც.

გრიპის ძირითად გართულებად ითვლება პნევმონია (ფილტვების ანთება), შედარებით იშვიათია შუა ყურის ანთებითა და თანმხლები ქრონიკული დაავადებების გამწვავებით გამოწვეული გართულებები.

გრიპის ვირუსის გართულების რისკ-ჯგუფში იმყოფებიან: გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი სისტემისა და სხვა ქრონიკული დაავადების მქონენი, ონკოლოგიური პაციენტები, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულნი, ბავშვები, ხანდაზმულები და ორსულები.

იმ შემთხვევაში, თუ გრიპის სიმპტომების ფონზე დაავადებულს აღენიშნება:

სუნთქვის გართულება, ქოშინი, ტკივილი გულმკერდის არეში, ცხვირ-ტუჩის მიდამოს გალურჯება, სისხლიანი ნახველი, მე-3 დღის შემდგომ ტემპერატურის მატების ტენდენცია - სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

ადამიანიდან ადამიანზე გრიპის ვირუსის გადაცემა დაავადებული ადამიანის ხველის ან ცემინების დროს ხდება (დაავადებული ადამიანის ხველისა და ცემინებისას გამოტყორცნილი წვეთებით ვირუსი ვრცელდება ჰაერში, რაც ჯანმრთელთა დაავადების მიზეზია); ადამიანი ასევე შეიძლება დაავადდეს გრიპის ვირუსით დაბინძურებულ ზედაპირებთან ხელით შეხების შემდეგ, რადგან, ზედაპირებზე მოხვედრილი გრიპის ვირუსი დაინფიცირების უნარს 2-8 საათის განმავლობაში ინარჩუნებს.

გართულებების განვითარების რისკ- ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი;
- დიაბეტით დაავადებულნი;
- მცირე და ხანდაზმული ასაკი;
- ორსულები

გრიპით გამოწვეული გართულებების თავიდან აცილების მიზნით, რეკომენდებულია: დაავადებულებმა დაიცვან წოლითი რეჟიმი და ისეთი სიმპტომების გამოჩენისას, როგორიცაა:

- სუნთქვის გაძნელება;
- ქოშინი;
- ციანოზი;
- ტკივილი გულმკერდის არეში;
- სისხლიანი ან მოვარდისფრო ნახველის გაჩენა;
- გახანგრძლივებული (3 დღეზე მეტი) მაღალი ცხელება (38 გრადუსზე მეტი);
- ბავშვებში - ღებინება ან ყლაპვის გაძნელება, კრუნჩხვები

სასწრაფოდ მიმართონ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით.

გრიპის გართულების თავიდან აცილების მიზნით, დაავადების პირველი ნიშნების გაჩენისთანავე, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მიწოდება რეკომენდებულია იმ ადამიანიებისთვის, რომელთაც აქვთ:

- გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებები;
- დიაბეტით არიან დაავადებულნი;
- არიან მცირე და ხანდაზმულ ასაკში;
- არიან ორსულად.

როგორ შევაჩეროთ გრიპის გავრცელება

გრიპის ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაცია.

გრიპის ფართო გავრცელებისას რეკომენდებულია არაპირდაპირი დაცვის საშუალებების გამოყენება, კერძოდ:

- უმჯობესია დაავადებული ადამიანები დარჩნენ სახლში: ამით დაიცავენ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას - დაავადების გავრცელებისგან;
- ჯანმრთელებმაც და დაავადებულებმაც შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანონ ხელები საპნით და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა;
- რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი და ;
- გამოიყენეთ სველი წესით დალაგება;

თუ გაქვთ გრიპის სიმპტომები - დარჩით სახლში, ტემპერატურის დარეგულირებიდან შემდგომი 24 საათის განმავლობაში;

- იმ შემთხვევაში თუ დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და უჩვეულოდ ან დაავადებული მიეკუთვნება გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფს, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მისაღებად.

რვა თვიანი პაუზის შემდეგ ბოლნისში სახელოვნებო დარგის არაფორმალური საგანმანათლებლო პროცესი განახლდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებული ყველა სახელოვნებო დარგის არაფორმალური საგანმანათლებლო პროცესი 28 სექტემრიდან განახლდა. რა მდგომარეობაა ამ კუთხით კულტურის ცენტრში, დახვდათ თუ არა მომზადებული გარემო ბავშვებს და რა შეზღუდვები იქნება პანდემიის პირობებში, როგორც ბავშვებთან, ისე მშობლებთან ამ და სხვა დეტალებზე კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი სოსო კოპალეიშვილი გვესაუბრება.

-ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, საქართველოს მასშტაბით, არაფორმალური განათლების დაწესებულებებშიც იმ შესაბამისი რეგულაციების დაცვით იწყებენ მუშაობას, რაც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ იქნა შემუშავებული. შესაბამისი სამოქმედო დოკუმენტი მუნიციპალიტეტის ეპიდემიოლოგებმაც შეიმუშავეს.

28 სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო როგორც წრეებმა და სტუდიებმა, ასევე ანსამბლებმა და ყველა შემოქმედებითმა ჯგუფებმა. რაც შეეხება რეგულაციებს, აუცილებელია დეზობარიერის გავლა, ტემპერატურის გაზომვა, თუ მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა 37.5 და მეტი, ვუკავშირდებით მშობელს, მასთან შეთანხმებით ვრეკავთ 112-ზე, თუ სურვილი ექნება, შეუძლია თავად უზრუნველყოს, შვილის ჯანმრთელობის დაცვა. ორივე შემთხვევაში კი ინფორმაციას ვატყობინებთ ცხელ ხაზზე. იქნება ყოველდღიური მკაცრი აღრიცხვა, შენობაში აუცილებელია პირბადის ტარება, გარდა სასიმღერო და საცეკვაო ხელოვნების მიმდინარეობის პროცესისა. მინდა გაგებით მოეკიდოს ყველა მშობელი იმ ფაქტს, რომ მათ ვერ დავუშვებთ შენობაში, ნებადართული იქნება მხოლოდ იმ ბავშვების მშობლების შესვლა, რომელებიც პირველად მოდიან წრეებზე და ისინი ჯერ კიდევ შეჩვევის პროცესში იმყოფებიან. მოწესრიგებული გვაქვს სველი წერტილები, გაკრულია გამაფრთხილებელი პოსტერები, სადაც განთავსებულია ჯანდაცვის მიერ მითითებული რეკომენდაციები: პირბადის გამოყენება, დისტანციის დაცვა, ხელების დამუშავება და ა.შ.

საბედნიეროდ, არსებული ინფრასტრუქტურა აკმაყოფილებს სტანდარტებს და პრევენციის კუთხით საჭირო დაიცვან დისტანცია და აუცილებელი წესები. გარკვეულ სირთულეს ქმნის, პანდემიის გამო სკოლებში არსებული რამოდენიმე ცვლა, შესაბამისად მოგვიწევს წრეების მუშაობის განრიგთან დაკავშირებით ცვლილებების გატარება. აღსანიშნავია ისიც, რომ წრეები შაბათ-კვირის ჩათვლით სრულად იქნება დატვირთული.

მართალია პანდემიამ ძალიან დაგვაზარალა მაგრამ, ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, რომ კვლავ მოვემსახუროთ და დავაკმაყოფილოთ ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდების მოთხოვნები: მუსიკის, ქორეოგრაფიის, ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა თუ თეატრალური ხელოვნების დარგებში. აღსანიშნავია, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ათეული სტუდია თუ წრე არსებობს, რომელიც დაკომპლექტებულია საუკეთესო სპეციალისტებითა და პედაგოგებით.

თითოეულ მოსწავლეს ვულოცავ სასწავლო პროცესის განახლებას და ვეტყვი, რომ თუ თქვენ უკვე გაქვთ შერჩეული საყვარელი სახელოვნებო დარგი, რომელმაც გაგიტაცათ და გსურთ ის პროფესიონალურად შეისწავლოთ, იცოდეთ, რომ ამისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის სახელოვნებო წრეები, სტუდიები, ანსამბლები და სხვადასხვა ჯგუფები უკვე გელოდებათ.

დარეჯან ოქრუაშვილი

Bolnisi bələdiyyəsi 2020-2021 tədris ilində də tələbələri maliyyələşdirəcəkdir

Bolnisi bələdiyyəsi tələbələri maliyyələşdirmək üçün sənəd qəbuluna başlayır.

Zəhmət olmasa sənədləri Bolnisi bələdiyyəsinin Vətəndaşlara Xidmət Departamentinə təqdim edin. Maddi yardım proqramında, kateqoriyalara görə, tələbə tam sənədləri təqdim etdikdən sonra cəlb ediləcəkdir.

Bələdiyyə aşağıdakı kateqoriyalar üzrə tələbələrə kömək göstərir:

1. Yetim tələbələr və dövlət akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan qəyyum ailələrdən olan tələbələr.

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Məktəbdən arayış;

3. Ölüm şəhadətnaməsi;

4. Şəxsi bank hesabı;

5. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

6. Dövlət Xidmətləri İnkişaf Agentliyindən müraciət formasının surəti (Forma 1)

2. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan məcburi köçkün ailələrindən olan tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Məcburi köçkün vəsiqəsi;

3. Məktəbdən arayış;

4. Şəxsi bank hesabı;

5. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti

3. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan sosial cəhətdən həssas (0-dan 100 000 bala qədər) ailələrdən olan tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Sosial cəhətdən həssas olan şəxslərin sertifikatı (0-dan 100 000 bala qədər);

3. Məktəbdən arayış;

4. Şəxsi bank hesabı;

5. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti.

6. Dövlət Xidmətləri İnkişaf Agentliyindən müraciət formasının surəti (Forma 1)

4.Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan çoxuşaqlı ailələrdən olan tələbələr (üç və ya daha çox uşaq);

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surətləri (bütün uşaqların);

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətlərinin İnkişaf Agentliyindən müraciət formasının surəti (Forma 1)

5.Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan iki və ya daha çox tələbəsi olan ailələrdən olan tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətlərinin İnkişaf Agentliyindən müraciət formasının surəti (Forma 1)

6. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan uğurlu tələbələr

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətləri İnkişaf Agentliyindən müraciət formasının surəti (Forma 1);

6. Balların göstəricisi (91-dən 100 arası 100 lari).

7.Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan uğurlu tələbələr

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətləri İnkişaf Agentliyindən müraciət formasının surəti (Forma 1);

6. Balların göstəricisi (81-dən 90arası 50 lari

8.Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan əlil tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;

2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;

3. Şəxsi bank hesabı;

4. Məktəbdən arayış;

5. Dövlət Xidmətləri İnkişaf Agentliyindən müraciət formasının surəti (Forma 1);

6. Əlillik statusu.

Nəzərə alın ki, təhsil qurumundan arayış təhsilə başladıqdan sonra verilməlidir. Əks təqdirdə təqdim olunan sənədlər nəzərə alınmayacaqdır.

Xatırladaq ki, keçən il tələbə proqramı üçün Bolnisi bələdiyyəsinin

büdcəsindən 132 800 lari xərclənmişdi.

Bolnisi Bələdiyyəsi dövlət və özəl məktəblərə kitab bağışladı

Bolnisi Bələdiyyəsindəki məktəb kitabxanalarına yeni kitablar əlavə edilib. Bələdiyyə meri Davit Şerazadişvili yeni tədris ilini təbrik

edib və Bolnisideki kitab fondunu dolduracaq bütün dövlət və özəl məktəblərə müxtəlif ədəbiyyat janrlarını təhvil verib. Bələdiyyənin hədiyyəsi şagirdlərə təlim prosesində biliklərini dərinləşdirməyə və gücləndirməyə kömək edəcəkdir. Yeni tədris ili başlamazdan əvvəl Bolnisi bələdiyyə meri N5 Bolnisi və Talaveri dövlət məktəblərini gəzdi, hədiyyəni şəxsən təslim etdi və oradakı vəziyyətlə tanış oldu.

Bonlisi Bələdiyyəsində yol infrastrukturu təmir olunur

Dünyaya yayılan yeni koronavirusun yaratdığı pandemiyaya baxmayaraq, planlaşdırılan infrastruktur layihələrinin icrası davam edir. Kvemo Kartlinin qubernatoru Şota Rexviaşvili, Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili ilə birlikdə davam edən və tamamlanan infrastruktur işlərini ziyarət ediblər. Fariz kəndində 500 metrlik asfalt-beton yolun çəkilişi artıq başa çatıb. Qeyd etmək lazımdır ki, infrastruktur layihəsi çərçivəsində 400 metr uzunluğunda suvarma kanalı da bər-

pa edilmişdir. İşlərin ümumi dəyəri 370 000 laridir. Mərkəzi və yerli hakimiyyət nümayəndələri Kvemo Bolnisi və Ratevani kəndində davam edən yol tikintisi işləri ilə də tanış oldular. 1820 metr uzunluğunda yola asfalt döşəməyə ümumilikdə 1.023.000 lari xərclənir, Kvemo Bolnisidə beton yolun düzəlməsi üçün 643.500 lari ayrılır. Şota Rexviaşvili və Davit Şerazadişvili də Bolnisi şəhərindəki Merab Kostava küçəsini ziyarət etdilər. İnfrastruktur işləri çərçivəsində Kostava küçəsinə yerli bazalt səki döşənmiş və ətrafdakı xiyabanlar, darvazalar və çəpərlər dəyişdirilmiş, bunun üçün mərkəzi və yerli büdcədən 579.000 lari ayrılmışdır.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის პროექტი დაისვენე საქართველოში 2020

კომპანია „არემჯი“ სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში, მეორე წელია ახორციელებს პროექტს #დაისვენესაქართველოში. ორი წლის განმავლობაში კომპანიამ 900-მდე თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრი ურეკში დაასვენა.

2020წლის 27 ივლისიდან 20 სექტემბრის ჩათვლით, ურეკში დასასვენებლად ყველა მრავალშვილიანი თანამშრომლის ოჯახი გაემგზავრა. დამატებით იღბლიანი თანამშრომლები, რომლებმაც პროექტის ფარგლებში შავი ზღვის სანაპიროზე ოჯახთან ერთად დაისვენეს, ლოტოტრონის პრინციპით გამოვლინდა.

პროექტის ფარგლებში, თანამშრომლების წახალისების მიზნით, წელს ფოტო კონკურსიც გამოცხადდა. ფოტოს ავტორს, რომელიც ფეისბუქ კონკურსში ყველაზე მეტ მოწონებას (like) დააგროვებს მომავალი წელს ზღვისპირა კურორტზე დასასვენებელი საგზური საჩუქრად გადაეცემა.

,,დაისვენე საქართვველოში ჩვენი თანამშრომლების საყვარელ პროექტად იქცა და ყველა დიდი სიხარულით ელოდებოდა გათამაშების დღეს. პროექტის წარმატების გამო, წელს გავზარდეთ მისი მასშტაბები და სეზონზე 400-ზე მეტი თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრი გავუშვით დასასვენებლად. მოხარული ვარ რომ ჩვენი კომპანია ყოველწლიურად ახერხებს უფრო მეტი ადამიანის გახარებას და მათზე ზრუნვას . ვფიქრობ, რომ მომავალშიც დიდი სიამოვნებით გავაგრძელებთ პროექტს #დაისვენესაქართველოში.'' - განაცხადა არემჯის აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე ლიპარტიამ.

,,1993 წლიდან სარკინიგზო საამქროს თბომავლის მძღოლი ვარ. კომუნისტების დროიდან არსად დამისვენია. პროექტის დასაწყისში დამირეკა ჩემმა თანამშრომელმა და მითხრა, რომ მოვიგე საგზური. ეს საჩუქარი ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ვერ ვიჯერებდი. ჩემს შვილთან ერთად პირველად დავისვენე ურეკში, ძალიან გახარებულები და ბედნიერები დავბრუნდით. დიდი მადლობა კომპანიის მენეჯმენტს, რომ 73 წლის ასაკში მომცა საშუალება, ჩემ შვილთან ერთად დამესვენა და ბედნიერი დღეები გამეტარებინა.“ - აღნიშნა „არემჯის“ თანამშრომელმა კარლო წერეთელმა.

„არემჯიმ“ კაზრეთის სკოლებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა

15 სექტემბერს, კაზრეთის საჯარო სკოლებში 108 პირველკლასელისათვის - პირველი ზარი დაირეკა.

„არემჯის“ წარმოების დირექტორის მოადგილემ არჩილ ჯაყელმა და კორპორაციული დირექტორის მოადგილემ საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ირაკლი შატაკიშვილმა მოსწავლეებს და მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

„არემჯის“ სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში სკოლის მოსწავლეების უსაფრთხოდ გადაადგილებისათვის, დაბა კაზრეთის #1 და #2 საჯარო სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო 106 მეტრის საფეხმავლო ბილიკი, რომელიც მოსწავლეების უსაფრთხო გადაადგილებას შეუწყობს ხელს. პერიმეტრზე განთავსდა დასასვენებელი სკამები და დამონტაჟდება ლამპიონები. პროექტის საერთო ღირებულება 50 000 ლარია.

ბილიკზე სიმბოლურად წითელი ლენტი, #1 და #2 სკოლების პირველკლასელებმა გაჭრეს.

ბესო მენაბდიშვილი

ხარისხის კონტროლის სამსახურის უფროსის მოადგილე

„ჩემი პორფესიით 39 წლის უწყვეტი სამუშაო სტაჟი მაქვს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 2000 წლამდე, საწარმო იყო უკიდურეს კრიზისულ მდგომარეობაში, 2016-2017 წლიდან კომპანიას ხელმძღვანელობს განახლებული, ახალგაზრდა დირექტორატი, აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე ლიპარტიას ხელმძღვანელობით. მნიშვნელოვანია, საქმისადმი პროფესიონალური და გუნდური დამოკიდებულება, რამაც განაპირობა: საუკეთესო სამუშაო გარემო, სტაბილური ანაზღაურება, თანამშრომელთა პატივისცემა და სამართლიანი დამოკიდებულება, კარიერული ზრდის საშუალება, ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვა, დასაქმება და უამრავი მიმართულებით სოციალური პროექტების განხორციელება. წარმოების ბლოკის ეფექტურმა მართვამ, კობა მენაბდიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით. „არემჯი“ ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ქვეყნის ბიუჯეტში შენატანების მიხედვით.

დღეისთვის მიმდინარეობს და მალე დასრულდება გამამდიდრებელი ფაბრიკის სრული გადაიარაღება-რეკონსტრუქცია. მოწყობილობა-დანადგარები იცვლება თანამედროვე უახლესი დანადგარებით, კერძოდ მსოფლიოში ცნობილი წამყვანი კომპანიის Metso:Outotec-ის შემუშავებული პროექტით.

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ პანდემიას ჩვენმა საწარმომ წარმატებით გაართვა თავი, გმირობის და თავდადების მაგალითი იყო დირექტორატის და წამყვანი მენეჯმენტის საქციელი, პანდემიის პირველ პერიოდში საწარმოდან გაუსვლელად მართავდნენ წარმოებას! არ შეფერხებულა სამუშაო პროცესები, სტაბილურად ხდებოდა სახელფასო და პრემიალური ანაზღაურების გაცემა, მათ შორის ვინც დროებით იზოლირებული იყო სამსახურიდან. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ნებისმიერ და განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში, საჭიროა მაქსიმალური მობილიზება და საშემსრულებლო დისციპლინა.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.